ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2966445

ნომერი: AR1458520

თარიღი : 22.11.2016

გაცემის თარიღი : 02.12.2016

გაცნობის თარიღი : 03.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , კორპუსი 34ბ , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა სირაძე პ/ნ 01010013468
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - ფოსტა-კავშირგაბმულობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.10.008.054) საქართველოს ფოსტის ფილიალის ასაშენებლად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენს გაცნობებთ შემდეგს:

მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 3 (სსზ–3)-ში; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 3 (სსზ–3) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვან საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი პზ-ში) არსებულ/დაგეგმილ კომერციული გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;

მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
500
კვ.მ
მინიმალური სიგანე
20
მეტრი
მინიმალური სიღრმე
20
მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე
15
მეტრი
შენიშვნა
–

თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება № 14-39, მუხლი 23–ის თანახმად ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნას (სიღრმე, სიგანე და ფართობი), იმ შემთხვევაში თუ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავების შენარჩუნებით (იხ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება № 14-39, მე-19 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები) საკითხს განიხილავს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭო“ საპროექტო მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის კუთხით (მუხლი 24).

განცხადებაზე ატვირთული ტოპო–გეგმისა და საკადასტრო გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება კომუნიკაციები, გამომდინარე აქედან დამატებით უნდა წარმოადგინოთ აღნიშნული კომუნიკაციების მესაკუთრის პოზიცია ნაკვეთის სამშენებლო განვითარებასთან მიმართებაში. ასევე გენგეგმა მათი რეკომენდაციის შესაბამისი გასხვისების არეალის ჩვენებით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.